



INNOVATIVE BUSINESS IN GEORGIA: PROBLEMS AND PROSPECTS

Copyright © 2024 the Author/s
Peer review method: Double-Blind
Accepted: January 27, 2025
Published: February 15, 2025
Original scientific article
DOI suffix: 10.36962/NEC20012025-24



Temur Shengelia

Doctor of Economic Sciences, Professor,
Iane Javakhishvili
Tbilisi State University.

ORCID ID: <https://orcid.org/0000-0003-0933-3648>

E-mail: Temur.Shengelia@tsu.ge
Cell: (+995) 599904757



Khatuna Berishvili

Doctor of Economics ,
Associate Professor, Ivane Javakhishvili Tbilisi
State University

ORCID ID: [https:// https://orcid.org/0000-0002-9281-9149](https://orcid.org/0000-0002-9281-9149)

E-mail: Khatuna.Berishvili@tsu.ge
Cell: (+995) 593249321

THE NEW ECONOMIST / სხვალი ეკონომისტი

ABSTRACT

Relevance of the topic: Modern companies spend a lot of time and money on implementing innovative activities. In the post-industrial era, these activities provide them with a competitive advantage, allowing them to survive in a constantly changing market environment. A business that produces and uses scientific and technical innovations becomes innovative. On the one hand, innovators who offer companies original ideas and investors, without whose financial support the functioning and development of innovative companies is impossible, play a major role in implementing this process. In this context, the study of general trends in the development of innovative business and the identification of existing problems is a topical scientific task. The aim of the article is to establish a typology of innovations and innovative technologies, analyze the types of innovative business and world experience, identify the problems of innovative business at the modern stage of Georgia's development and determine specific ways and directions for solving them. **The object of the study** is innovative business in Georgia, its development trends and features. **Research methods:** The paper uses quantitative and qualitative research methods. In addition, the analysis process uses systematic, economic-institutional, historical-dialectical, scientific abstraction, positive-normative, statistical analysis, prognostic, expert assessment, and diagnostic methods. **Practical significance:** This article provides politicians, business leaders, and academics with information about the practical steps that need to be taken to develop innovative business in Georgia. **Results and discussion:** 1. The share of companies engaged in innovative products in Georgia (small-6.6%, medium-11.4%, large-13%) is extremely low. The share of businesses engaged in research and development (R&D) in the coun-



try is about 6.8% (respectively, in the USA - 70, in France - 50, in Japan - 78 percent). In 2023, only 6.8% of industrial firms were engaged in the creation and adoption of innovations, and in 2024 this figure practically did not change. This indicates that not all innovative projects achieve the final result - a new product, and not all innovations find their customers.

2. The average age of equipment has exceeded 15-20 years, which is twice as high as in developed countries. The level of development of key industries in Georgia lags behind developed countries by 15-20 years. Companies are mainly engaged in cloning innovations (copying promising business solutions. In the 2023 Global Innovation Index (GII), Georgia moved to 65th place, and the country received one of the lowest scores in recent years (29.9).

3. The share of innovative companies is only 6% (last place among OECD countries), compared to 35% in Japan and Germany, and 55% in Denmark and Finland. Such a low level of innovative activity is associated with the low income of companies from the implementation of technological innovations against the background of increasing costs.

In Georgia, there is no such important structure supporting innovative businesses as the National Association of Business Angels, whose function is to protect and develop the interests of individual venture investor organizations and early-stage venture funds.

The constant outflow of capital plays a negative role in the Georgian In the development of innovative business. In 2023, this figure amounted to 81.2 million. USD, in 2012 - 56.8 million, the outflow of capital replaced its inflow in previous years. This process indicates the distrust of potential investors towards state agencies.

Conclusion: Taking into account the above circumstances, the following steps are recommended for the development of Georgian innovative business:

1. In the long term, the state should develop a clear strategy for the country's innovative development, supported by the appropriate ideology of the attractiveness of innovative activities.

2. For the well-being of innovative business, an institutional environment should be created that meets the requirements of the country's innovative development.

3. The state should more actively use the program-targeted method of introducing innovations.

4. Like Great Britain, France and the USA, Georgia needs to develop a state administration and regulatory mechanism that ensures the implementation of innovative projects in priority areas.

4. The state should also use indirect methods of regulating innovation activities, namely legislative norms, tax measures, support for venture investors (business angels) and small and medium innovative businesses) on the basis of venture funds established with government support.

Keywords: innovation, structure, business, directions, development, problems, Georgia.

REFERENCES:

1. Berishvili, Kh. (2017). Identification of Integration Processes in Conditions Economic Turbulence and their Use in Development of the Countries with Small Economy. EcoForum Vol.6, Issue 2.

2. Shengelia, T. (2022). Influence of multicultural factors on innovative development of the country. Sciences of Europe. Issue 107. <https://www.slideshare.net/slideshow/sciences-of-europe-no-107-2022/255039495>

3. Shengelia, T. (2017), The role of state regulation of investment in Georgia business development. International business in the world economic system. <https://www.researchgate.net/publication/323304603>

4. Shengelia, T. (2017), Determination of correlative

relations between social capital, trust and motivation in the international company. 6th Business & Management Conference, Geneva. <https://ideas.repec.org/p/sek/ibmp/5607685.html>

5. Shengelia, T. and Kh. Berishvili, (2014). The Role of Institutional Reforms in the improvement of the Georgian Investment Environment. International Journal of Social Sciences Vol. III (2)

6. Shengelia, T. and Kh. Berishvili, (2020). Methodology of social entrepreneurship research and its influence on countries with small economy. International Journal of Social and Humanities Sciences. Volum 4, Issue 3.

7. Temur Shengelia, Khatuna Berishvili (2024). World trends of small business development and the reality of Georgia. Research Reviews. Issue 5.



8. Shengelia, T. (2018) Interpersonal and Organizational Trust, as Factor of Social Capital, and its Influence on the Motivation of International Company Employees. Ecoforum.Volum 6, Issue 2.

9. Shengelia, T. (2017) Influence of Cultural Determinants on the Process of Business Innovations Management. Ecoforum.Volum 7, Issue 1.

10. Shengelia, T. (2019) Research methodology and the impact of social entrepreneurship on the solution of social problems in Georgia. Ivane Javakhishvili Tbilisi State University Press.

11. Shengelia, T. and Kh. Berishvili, (2020). Methodology of social entrepreneurship research and its influence on countries with small economy. International Journal of Social and Humanities Sciences. Vol.

4, Issue 3. <https://dergipark.org.tr/tr/pub/ijshs/issue/59252/853214>

12. Syafi’I A. (2023) Innovation in business management. American Journal of Economic and Management Business. ISSN: 2835-5199Vol. 2 No. 9 September

13. Fernandez I.(2023). Innovation and international business: A systematic literature review. Hellion No. 9

14. The Global Competitiveness Report 2023// World Economic Forum/ org/docs/WEF_Global Competitiveness Report_2023.Pdf

15. 12. Survey of Public-Private Partnerships Worldwide, 2024: Public Works Financing (PWF). P.1-24.

16. Review of the European PPP Market in 2024. URL: http://www.eib.org/eresources/elec_market_update_2012_en.Pdf

ინოვაციური ბიზნესი საქართველოში: პრობლემები და პერსპექტივები

თეიმურაზ შენგელია

ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, „საერთაშორისო ბიზნესის“ კათედრის გამგე

ხათუნა ბერიშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი

აბსტრაქტი

თემის აქტუალობა. თანამედროვე კომპანიები დიდ დროსა და ფინანსებს ხარჯავენ ინოვაციური აქტივობების განხორციელებაზე. პოსტინდუსტრიულ ეპოქაში ეს აქტივობები უზრუნველყოფენ მათ კონკურენტულ უპირატესობას, საშუალებას იძლევიან გადარჩნენ მუდმივად ცვალებად საბაზრო გარემოში. ბიზნესი, რომელიც აწარმოებს და იყენებს სამეცნიერო-ტექნიკურ სიახლეებს, ხდება ინოვაციური. ამ პროცესის განხორციელებაში ერთი მხრივ დიდ როლს თამაშობენ ინოვაციური ცენტრები, რომლებიც კომპანიებს სთავაზობენ ორიგინალურ იდეებს და ინვესტიციებს, რომელთა ფინანსური მხარდაჭერის გარეშე ინოვაციური კომპანიების ფუნქციონირება და განვითარება შეუძლებელია. ამ კონტექსტში ინოვაციური ბიზნესის განვითარების ზოგადი ტენდენციების შესწავლა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირება წარმოადგენს აქტუალური მეცნიერულ ამოცანას. **სტატიის მიზანია** დაადგინოს ინოვაციებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების ტიპოლოგია, ინოვაციური ბიზნესის სახეებისა და მსოფლიო გამოცდილების გაანალიზება, საქართველოს განვითარების თანამედროვე ეტაპზე ინოვაციური ბიზნესის პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის კონკრეტული გზები და მიმართულებანი დადგენა. **კვლევის ობიექტია** ინოვაციური ბიზნესი საქართველოში, მისი განვითარების ტენდენციები და თავისებურებანი. **კვლევის მეთოდები:** ნაშრომში გამოყენებულია რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდები. გარდა ამისა ჩატარებული ანალიზის პროცესში გამოიყენება სისტემური, ეკონომიკურ-ინსტიტუციური, ისტორიული-დიალექტიკური, მეცნიერული აბსტრაქციის, პოზიტიურ-ნორმატიული, სტატისტიკური ანალიზის, პროგნოსტიკული, ექსპერტული შეფასების, დიაგნოსტიკის მეთოდები. **პრაქტიკული მნიშვნელობა:** ეს სტატია აწვდის პოლიტიკოსებს, ბიზნეს ლიდერებს და აკადემიკოსებს ინფორმაციას იმ პრაქტიკული ნაბიჯების შესახებ, რომელიც უნდა გადაიდგას საქართველოში ინოვაციური ბიზნესის გასავითარებლად. **შედეგები და დისკუსია:** 1. საქართველოში ინოვაციური პროდუქტის სფეროში დასაქმებული კომპანიების (მცირე-6.6%, საშუალო-11.4%, მსხვილი-13%) წილი უკიდურესად დაბალია. ქვეყანაში კვლევისა და განვითარებით (R&D) დაკავებული ბიზნესის წილი დაახლოებით 6,8%-ს შეადგენს (შესაბამისად, აშშ-ში



- 70, საფრანგეთში - 50, იაპონიაში - 78 პროცენტია). 2023 წელს სამრეწველო ფირმების მხოლოდ 6,8% იყო დაკავებული ინოვაციების შექმნითა და ათვისებით, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი ფაქტობრივად არ შეცვლილა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ყველა ინოვაციური პროექტი არ აღწევს საბოლოო შედეგს - ახალ პროდუქტს და ყველა ინოვაცია ვერ პოულობს თავის მომხმარებელს. 2. აღჭურვილობის საშუალო ასაკმა 15-20 წელს გადააჭარბა, რაც განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ორჯერ მეტია. საქართველოში ძირითადი ინდუსტრიების განვითარების დონე 15-20 წლით ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს. კომპანიები ძირითადად დაკავებულია ინოვაციების კლონირებით (პერსპექტიული ბიზნეს გადაწყვეტილებების კოპირება. ინოვაციების გლობალური ინდექსის (GII) 2023 წელს საქართველო 65-ე ადგილზეა გადაინაცვლა და ქვეყანამ ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთი ყველაზე დაბალი ქულა მიიღო (29.9). 3. ინოვაციური კომპანიების წილი მხოლოდ 6%-ს შეადგენს (ბოლო ადგილი OECD-ის ქვეყნებს შორის) იაპონიასა და გერმანიაში 35%-ია, დანიაში და ფინეთში 55 %. ინოვაციური აქტივობის ასეთი დაბალი დონე დაკავშირებულია ტექნოლოგიური ინოვაციების განხორციელებიდან მიღებულ კომპანიების დაბალ შემოსავალთან დანახარჯების ზრდის ფონზე.


საქართველოში არ არსებობს ინოვაციური ბიზნესის მხარდამჭერი ისეთი მნიშვნელოვანი სტრუქტურა, როგორცაა ბიზნესის ანგელოზთა ეროვნული ასოციაცია, რომლის ფუნქცია ინდივიდუალური ვენჩურული ინვესტორი ორგანიზაციებისა და ადრეული სტადიის ვენჩურული ფონდების ინტერესების დაცვა და განვითარებაა.

კაპიტალის მუდმივი გადინება უარყოფით როლს თამაშობს ქართული ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში. 2023 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 81,2 მლნ. აშშ დოლარი, 2012 - 56,8 მილიონი, კაპიტალის გადინებამ შეცვალა მისი შემოდილება წინა წლებში. ეს პროცესი მიუთითებს პოტენციური ინვესტორების უნდობლობაზე სახელმწიფო უწყებების მიმართ.

დასკვნა: ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქართული ინოვაციური ბიზნესის განვითარებისთვის რეკომენდებულია შემდეგი ნაბიჯების გადადგმა:

1. გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ქვეყნის ინოვაციური განვითარების მკაფიო სტრატეგია, მხარდაჭერილი ინოვაციური საქმიანობის მიმზიდველობის შესაბამისი იდეოლოგიით.
2. ინოვაციური ბიზნესის კეთილდღეობისთვის უნდა შეიქმნას ისეთი ინსტიტუციური გარემო, რომელიც პასუხობს ქვეყნის ინოვაციური განვითარების მოთხოვნებს.
3. სახელმწიფომ უფრო აქტიურად უნდა გამოიყენოს ინოვაციების დანერგვის პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდი.
4. დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და აშშ-ს მსგავსად, საქართველოში აუცილებელია შემუშავდეს სახელმწიფო ადმინისტრირებისა და რეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პრიორიტეტულ სფეროებში ინოვაციური პროექტების განხორციელებას.
4. სახელმწიფომ ასევე უნდა გამოიყენოს საინოვაციო საქმიანობის რეგულირების არაპირდაპირი მეთოდები, კერძოდ საკანონმდებლო ნორმები, საგადასახადო ღონისძიებები, ვენჩურული ინვესტორების (ბიზნეს ანგელოზების) და მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესის) მხარდაჭერა, მთავრობის მხარდაჭერით ჩამოყალიბებული ვენჩურული ფონდების საფუძველზე.

საკვანძო სიტყვები: ინოვაცია, სტრუქტურა, ბიზნესი, მიმართულებები, განვითარება, პრობლემები, საქართველო.



შესავალი

სანარმოს კონკურენტუნარიანობის შენარჩუნებისა და განვითარების „ალმასის კონცეფცია“ (Diamond Concept), ბიზნესის განვითარებაში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ინსტიტუციურ ინოვაციებს, რომლებიც თავის მხრივ განაპირობებენ პროცესებისა და პროდუქტების ინოვაციებს, რაც კომპანიებს აძლევს საშუალებას მოცემული ბაზრის სეგმენტებში არა მართო შეინარჩუნონ კონკურენტული


უპირატესობა, არამედ გახდნენ დომინანტები [12]. ცხადია, რომ სერიოზული რეორგანიზაციის, რესტრუქტურულიზაციის გარეშე, რაც გამოიხატება კომპანიის ორგანიზაციული სტრუქტურის ცვლილებაში (ინსტიტუციური ინოვაციები), რომელსაც ახლავს წარმოების პროცესის ტექნოლოგიური გაუმჯობესება (პროცესის ინოვაციები), შეუძლებელია მომხმარებლებისთვის მნიშვნელოვანი სიახლეების ან სერვისების მიწოდება (პროდუქტის ინოვაციები).

ინოვაციური პროცესის ეს თანმიმდევრული ლოგიკა ჩამოყალიბდა ინდუსტრიულ საზოგადოებაში, ხოლო გლობალური მასშტაბით საზოგადოების შემდგომმა განვითარებამ, სტანდარტიზაციამ და უნიფიკაციამ, განაპირობა ინოვაციური პროცესისადმი არსებული მიდგომების არსებითი ცვლილება. კერძოდ, მაკროდონეზი ინოვაციების მართვა საშუალებას გვაძლევს განვასხვავოთ ეროვნული (სახელმწიფო) ინოვაციები, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოსა და ეკონომიკურ სუბიექტებს შორის სხვადასხვა ტიპის ურთიერთობის ფორმას (სამეცნიერო, ტექნიკური, საგანმანათლებლო, იურიდიული, კულტურული და სხვა სფეროებში) და მიკრო დონეზე არსებული ორგანიზაციული ინოვაციები, რომლებიც მოიცავს:

- 1) პროდუქტის (ახალი პროდუქტები, სერვისები) ინოვაციებს;
- 2) პროცესის (ტექნოლოგიური) ინოვაციებს;
- 3) ინსტიტუციურ ინოვაციებს.

დაბალი ღირებულებისა და წარმოებაში სწრაფი დანერგვის სიჩქარის გამო, ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა პროცესის (ტექნოლოგიური) ინოვაციებს, რომლებიც გვევლინება ახალი პროდუქტების (პროდუქტის ინოვაციების) შექმნის წყაროდ.

ინოვაციური ტექნოლოგიების და პროდუქტების სასიცოცხლო ციკლს შორის არსებობს მჭიდრო კავშირი. ამ ციკლის ეტაპებია:



ნახატი № 1
ინოვაციების ზეგავლენა პროდუქტის სასიცოცხლო ციკლზე

პირველ ეტაპზე ხდება პროდუქტის განვითარება. აპრობირებული უნიკალური ტექნოლოგიის

გამოყენებით პროტოტიპის ან ახალი პროდუქტის ერთჯერადი ასლის შექმნა, რომელიც ექვემდებარება ტესტირებას, რის შედეგადაც მხოლოდ მეორე ეტაპზე გარდაიქმნება პროცესის ინოვაციად. ამდენად, ამ პროცესს წინ უსწრებს დიზაინისა და ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების კორექტირება.

მეორე ეტაპი მოიცავს ზრდის პროცესს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ინოვაციური ტექნოლოგიის ფორმალიზება, რომელიც კომპანიას აძლევს საშუალებას, რომ მიიღოს მოგება და შემდგომ განავითაროს ეს ტექნოლოგია.

მესამე ეტაპზე ტექნოლოგია უზრუნველყოფს წარმოებული პროდუქტის სიმწიფის სტადიას. მასშტაბის ეკონომიურობის გამო (მასიური გაყიდვები), კომპანია მოგებას კიდევ უფრო ზრდის, ხოლო ფასდაკლებებისა და აქციების პირობებში მის სასარგებლოდ იზრდება მომხმარებლებს ფსიქოლოგიური განწყობა.

მეოთხე ეტაპი მოიცავს რეცესიას. ამ ეტაპზე პროდუქტის მორალურად ძველდება, თუმცა ის ჯერ კიდევ მოთხოვნადია და, შესაბამისად აკმაყოფილებს სამ კრიტერიუმს: საშუალო ხარისხს, დაბალ ფასს და წარმოების ტექნიკურ პირობებს.

ტრანსნაციონალური კომპანიები შედიან განვითარებად ბაზრებზე და სთავაზობენ მომხმარებლებს იმ პროდუქტებს, რომლებიც განვითარებულ ქვეყნებში მოძველებულია. ეს ხდება შესაბამისი ეროვნული ბაზრის სპეციფიკასთან ასეთი პროდუქტების ადაპტაციის საფუძველზე. მიუხედავად ამისა, ასეთ ბაზარზე მსგავსი კომპანიები პოზიციონირებენ როგორც ინოვაციურები. ასეთ პირობებში ორგანიზაციული ინოვაციები იწყება არა ინსტიტუციური, არამედ პროცესის ინოვაციებით, რაც უზრუნველყოფს სანარმოს ხარჯების შემცირებას და სტაბილური შემოსავლის ზრდას [1].

თანამედროვე კომპანიები დიდ დროსა და ფინანსებს ხარჯავენ ინოვაციური აქტივობების განსახორციელებლად. პოსტინდუსტრიულ ეპოქაში ეს აქტივობები უზრუნველყოფენ მათი კონკურენტული უპირატესობების ზრდას, განაპირობებენ ტურბულენტურ და მუდმივად ცვალებად საბაზრო გარემოში მათ არსებობას. ინოვაციური ბიზნესის განხორციელებაში ერთი მხრივ დიდ როლს თამაშობენ ინოვატორები, რომლებიც კომპანიებს სთავაზობენ ორიგინალურ იდეებს, ქმნიან ახალ ცოდნას, ახალ გამოგონებებს და ინვესტორები, რომელთა ფინანსური მხარდაჭერის გარეშე ინოვაციური კომპანიების ფუნქციონირება და განვითარება შეუძლებელია. წარმოდგენილია ინოვაციური



ცხრილი № 1
ინოვაციური ბიზნესის განხორციელების ეტაპები

ეტაპები	ინოვაციური ბიზნესის ძირითადი ეტაპები			
	იდეების გენერირება	პროექტის შერჩევა	პროექტის რეალიზაცია	პროექტის კომრეალიზაცია
1. ეტაპის დახასიათება	იდეის შერჩევა	ბიზნეს-გეგმის შედგენა	პროექტის განხორციელება	ინოვაციური პროდუქტების წარმოება
2. რეალიზაციის ადგილი	მცირე და საშუალო ინოვაციური ფირმები (სტარტ-აპ კომპანიები, ბიზნესის ანგელოზები)	მსხვილი კორპორაციები	მცირე და საშუალო ინოვაციური ფირმები	მსხვილი კორპორაციები
3. ინფრასტრუქტურა	ფირმა-ინკუბატორები	ტექნოპოლისები	ტექნოპარკები	ტექნოპოლისები, და ტექნოპარკები

წყარო: Syafila. (2023) Innovation in business management. American Journal of Economic and Management Business. Vol. 2 No. 9

ბიზნესის რეალიზაციის ეტაპები წარმოდგენილია № 1 ცხრილში.

ცხრილი 1-ის მიხედვით, ინოვაციური პროექტის საწყის ეტაპზე ხდება სტარტ-აპ კომპანიების (ინგლ. Start-up - დამწყები) დაფუძნება, რომლებიც აერთიანებენ ორიგინალური ბიზნესიდეების მქონე ინოვატორებს და ბიზნესანგელოზებს, რომლებიც ინვესტირებას ახდენენ სტარტ-აპებში. ეს შესაძლებელია პირველადი ინოვაციური სტრუქტურების - ბიზნესინკუბატორების შექმნის საფუძველზე, სადაც სტარტ-აპ კაპიტალით, კონსალტინგით, ადმინისტრაციული, იურიდიული მომსახურებით იქმნება ინოვაციური ბიზნესის ორგანიზაციული განვითარების პირობები.

ინოვაციური პროექტის შერჩევისა და კომერციალიზაციის ეტაპი, რა თქმა უნდა, მიმდინარეობს მსხვილ კომპანიებში, რომლებიც რამდენიმე ვარიანტიდან ახდენენ ინოვაციური პროექტების შერჩევას, მათ შემდგომ დანერგვას და მასობრივ წარმოებას. მსხვილ კორპორაციებში, ამ შერჩეული პროექტების ფინანსური უზრუნველყოფით, სინერგიული ეფექტის გათვალისწინებით, ხდება მცირე და საშუალო ინოვაციური ფირმებისგან შექმნილი სამეცნიერო კვლევების შედეგების დანერგვა.

მესამე ეტაპზე, პროექტების რეალიზაციას ახდენენ აგრეთვე მცირე და საშუალო ზომის ვენჩურ-

რული ფირმები, რომლებიც გამოეყოფიან მსხვილ კორპორაციებს სპინ-ოფის მეშვეობით (ინგლ. Spin off - გადაცემა). უკანასკნელი ხორციელდება ქონების ან აქტივების გადაცემით აქციონერებისთვის. ეს ნიშნავს, რომ ვენჩურული საწარმოს დამფუძნებელი ხდება კორპორაციის ის თანამშრომელი, რომელიც იყენებს მცირე ორგანიზაციის უპირატესობებს (მცირე რაოდენობის პერსონალი, დანახარჯები, მომხმარებელთა მოთხოვნებისადმი სწრაფი ადაპტაცია და სხვა) და აქვს შესაძლებლობა მოკლე დროში შეიმუშაოს ახალი პროდუქტების დიზაინი და ტექნოლოგიური დოკუმენტაცია. ასეთი მცირე ვენჩურული კომპანია, რომელმაც დაამტკიცა თავისი სიცოცხლისუნარიანობა და მისი კვლევისა და განვითარების (R&D) შესაძლებლობები, აგრძელებს მუშაობას ახალ ინოვაციურ პროექტებზე, რომლებიც შეკვეთილია მსხვილი კომპანიების მიერ [12].

ინოვატორები თავიანთი საქმიანობას ახორციელებენ ინოვაციური ბიზნეს მოდელის მე-2 და მე-3 ეტაპებზე, სადაც ინოვაციური ინფრასტრუქტურის ფარგლებში შეიძლება შეიქმნას ტექნოლოგიური პარკები, ტექნოპოლისები და ფირმა-ინკუბატორები.

მე-19 საუკუნიდან განვითარებულ ქვეყნების მსხვილ საერთაშორისო კომპანიებში (ტრანსნაციონული კომპანიების, ფინანსური ინდუსტრიული

ჯგუფები) წარმატებით ორგანიზებულმა ინოვაციურმა აქტივობებმა და მათი შეუზღუდავმა ფინანსურმა და სახელმწიფო მხარდაჭერამ მოახდინა მსოფლიო მასშტაბით მათი მონოპოლიზაცია, რამაც განაპირობა მსოფლიო ეკონომიკის ტრანსნაციონალიზაციის პროცესის დაწყება. ამრიგად, მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში შეიქმნა ინოვაციების ძლიერი სანარმოო ინფრასტრუქტურა (ბიზნესინკუბატორების, ინოვაციური ცენტრების, ტექნოლოგიური პარკებისა და ტექნოპოლისების სახით), რომელიც აერთიანებდა სამეცნიერო, სახელმწიფო, საჯარო, საგანმანათლებლო, საინვესტიციო ინსტიტუტებს, სადაც სახელმწიფო მიზნობრივი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრამების ფარგლებში მნიშვნელოვანი ინოვაციური პროექტები ხორციელდებოდა. ამან განაპირობა ინოვაციური ეკონომიკის წინაპირობების ჩამოყალიბება აშშ-ში, იაპონიაში, ევროპისა და აზიის სხვა განვითარებულ ქვეყნებში [2].

ინოვაციური ბიზნესის განვითარების ტენდენციები საქართველოში

საქართველომ, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში გამოიარა ომი და რევოლუცია, რამაც მოსახლეობის არა მხოლოდ ფიზიკური განადგურება, არამედ მასზე ეკონომიკური, პოლიტიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლაც მოახდინა. ყოველივე ამან მნიშვნელოვნად განაპირობა მისი ტექნოლოგიური ჩამორჩენა, გახდა „ტვინების გადინების“ პროცესის საფუძველი.

ამით არის მოტივირებული ინოვაციების სფეროში არსებული შემდეგი პრობლემები:

1. საქართველოში ინოვაციური პროდუქტის სფეროში დასაქმებული კომპანიების (მცირე-6.6%, საშუალო-11.4%, მსხვილი-13%) ხვედრითი წილი უკიდურესად დაბალია. ქვეყანაში კვლევისა და განვითარებით (R&D) დაკავებული ბიზნესის წილი დაახლოებით 6,8%-ს შეადგენს (შესაბამისად, აშშ-ში - 70, საფრანგეთში - 50, იაპონიაში - 78 პროცენტია). სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავებითა და დანერგვით დაკავებული ფირმების წილი დაბალია (იხ:ცხრილი №2).

2023 წელს სამრეწველო ფირმების მხოლოდ 6,8% იყო დაკავებული ინოვაციების შექმნითა და ათვისებით, ხოლო 2024 წელს ეს მაჩვენებელი ფაქტობრივად არ შეცვლილა. ეს მეტყველებს იმაზე, რომ ყველა ინოვაციური პროექტი არ აღწევს საბოლოო შედეგს - ახალ პროდუქტს და ყველა ინოვაცია ვერ პოულობს თავის მომხმარებელს. ხშირია ბიზნესის ინტერესის ნაკლებობა ინოვაციების მიმართ, რომელსაც არ სურს ჩაერთოს სარისკო პროექტებში.

ამავდროულად, ცნობილი მსხვილი კომპანიების 70% არ არის მზად ან არ სურს მათი ინოვაციური საქმიანობის დეტალური შედეგების მიწოდება, თუმცა იმიჯის და სტატუსის გამო ისინი პოზიციონირებენ, როგორც ინოვაციური კორპორაციები. ამკარაა, რომ მსხვილი ბიზნესი ამჟამად არ გრძნობს ინოვაციის საჭიროებას, არამედ ორიენტირებულია ნებისმიერი გზით მოგების ზრდაზე [3].

2. აღჭურვილობის საშუალო ასაკმა 15-20 წელს გადააჭარბა, რაც განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით ორჯერ მეტია. საქართველოში ძირითადი

ცხრილი N2

ფირმების წილი, რომლებმაც განახორციელეს ინოვაციები პროდუქციაში (საქონელი/მომსახურება), %

		2016	2017	2018	2019	2020	2021	2022	2023
ინოვაციები საქონელში	სულ	13.1%	13.3%	3.2%	3.0%	7.3%	6.4%	6.9%	6.8%
	მათ შორის:								
	მცირე	-	-	-	-	7.1%	6.2%	6.8%	6.6%
	საშუალო	-	-	-	-	11.9%	13.3%	9.9%	11.4%
	მსხვილი	-	-	-	-	14.4%	15.0%	11.9%	13.0%
ინოვაციები მომსახურებაში	სულ	13.9%	14.0%	3.2%	3.2%	7.7%	5.4%	6.0%	6.2%
	მათ შორის:								
	მცირე	-	-	-	-	7.5%	5.1%	5.9%	6.0%
	საშუალო	-	-	-	-	10.7%	11.6%	8.5%	11.4%
	მსხვილი	-	-	-	-	13.7%	16.4%	11.3%	14.4%

წყარო: <https://www.geostat.ge/ka/modules/categories/108/inovatsiuri-aktivoba>



ცხრილი №3. საქართველოს რეიტინგი ქულების მიხედვით

	2022 რეიტინგი	2023 რეიტინგი	ცვლილება
ინსტიტუტები	30	25	+5
ბიზნესის განვითარების დღე	64	58	+6
ადამიანური კაპიტალი და უნარები	70	69	+1
სამართლის გარჩევა	72	77	-5
ცოდნა და ტექნოლოგიები	75	72	+3
ინფრასტრუქტურა	83	80	+3
შესრულებული პროდუქტები	86	81	+5

წყარო: [https://idfi.ge/ge/global_innovation_index_\(gii\)_2023_results_of_georgia](https://idfi.ge/ge/global_innovation_index_(gii)_2023_results_of_georgia)

ინდუსტრიების განვითარების დონე 15-20 წლით ჩამორჩება განვითარებულ ქვეყნებს. კომპანიები ძირითადად დაკავებულია ინოვაციების კლონირებით (პერსპექტიული ბიზნესგადაწყვეტილებების კოპირება საზღვარგარეთიდან). კერძოდ, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის მიერ განსაზღვრული „საწარმოს უნარი სესხის აღების და ტექნოლოგიების ადაპტაციის“ მაჩვენებლის მიხედვით, 2024 წელს საქართველო კვიპროსის დონეზე იყო და 133-ქვეყნიდან 79-ე ადგილი იკავებდა [2].


ამკარა მსოფლიო ბაზარზე ქართული ინოვაციური ტექნოლოგიების გაუფასურების ტენდენცია და ქვეყნის ორიენტაცია საკუთარი წარმოების ნაცვლად, იმპორტირებული პროდუქციის შექმნაზე, რასაც ადასტურებს 2023 წელს გლობალური ინოვაციების ინდექსში საქართველოს ადგილი. ინოვაციების გლობალური ინდექსის (GII) 2023 წელს საქართველო 65-ე ადგილზეა გადაინაცვლა და ქვეყანამ ბოლო წლების განმავლობაში ერთ-ერთი

ყველაზე დაბალი ქულა მიიღო (29.9). ამავე წელს საქართველოს ქულა გაუმჯობესდა ხუთ კომპონენტში - ბაზრის განვითარების დონე, ადამიანური კაპიტალი და კვლევა, საბაზრო გარემო, ცოდნა და ტექნოლოგიები და შემოქმედებითი პროდუქტები. რეგრესი დაფიქსირდა დანარჩენ 2 კომპონენტში - ინსტიტუტები და ინფრასტრუქტურა. მცირე პროგრესის მიუხედავად, ქვეყანას ჯერ კიდევ დაბალი ქულა (29.9) აქვს ინოვაციების გლობალურ ინდექსში (იხ:ცხრილი №3).

საქართველოს მაჩვენებლებზე დაკვირვების შედეგად ინდექსმა დადებითი ტენდენცია გამოავლინა ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტსა და ინოვაციურობას შორის კავშირის თვალსაზრისით (იხ:ცხრილი №4).

საქართველო უსწრებს რეიტინგში მეზობლებს (რუსეთის გარდა), თუმცა საგრძნობლად ჩამორჩება დანარჩენებს. კერძოდ, 2023 წლის შედეგებით, მეზობელი, აღმოსავლეთ პარტნიორობისა

ცხრილი №4. საქართველოს რეიტინგი წლების მიხედვით



წყარო: [https://idfi.ge/ge/global_innovation_index_\(gii\)_2023_results_of_georgia](https://idfi.ge/ge/global_innovation_index_(gii)_2023_results_of_georgia)

ცხრილი №5

ქვეყანა	2023 რეიტინგი	2023 ქულა	2022 რეიტინგი	2022 ქულა
ესტონეთი	16	53.4	18	50.2
თურქეთი	39	38.6	37	38.1
ლიტვა	34	42.0	39	37.3
ლატვია	37	39.7	41	36.5
რუმინეთი	51	33.3	47	34.3
მოლდოვა	60	30.3	56	31.1
უკრაინა	55	32.8	57	31.0
საქართველო	65	29.9	73	27.9
ბულგარეთი	80	26.8	77	27.7
სომხეთი	72	28.0	80	26.6
აზერბაიჯანი	89	23.3	93	21.5

წყარო: [https://idfi.ge/ge/global_innovation_index_\(gii\)_2023_results_of_georgia](https://idfi.ge/ge/global_innovation_index_(gii)_2023_results_of_georgia)

და ბალტიისპირეთის 11 ქვეყნიდან საქართველო მერვე ადგილზეა და შედეგებით უსწრებს მხოლოდ ბელარუსს, სომხეთსა და აზერბაიჯანს (იხ:ცხრილი №5).

ინდექსმა კონკრეტული ინდიკატორების მეშვეობით გამოყო საქართველოს ძლიერი და სუსტი მხარეები ინოვაციური განვითარების მხრივ. ქვეყანას წამყვანი პოზიცია უკავია საბაზრო გარემოს კატეგორიაში; ინფრასტრუქტურაში ერთადერთი ინდიკატორი, რომელსაც მაღალი ქულა მიენიჭა, არის ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა. ბიზნესის განვითარების დონეშიც მხოლოდ ერთი ინდიკატორი, რომელშიც საქართველო საკმაოდ მაღალი შეფასებები 7-დან 3 ინდიკატორში მიიღო - რეგულირების ხარისხი, დასაქმებულთა აყვანისა და გათავისუფლების სიმარტივე და ბიზნესის კეთების პოლიტიკა.

რაც შეეხება ნაკლოვანებებს, მწირია მაღალ რეიტინგიანი უნივერსიტეტების რაოდენობა. ამავე კატეგორიაში ქვეყანას დაბალი შეფასება აქვს გლობალური კორპორატიული R&D ინვესტიორების ინდიკატორშიც. ბიზნესის განვითარების მხრივ საქართველოს სისუსტეა ბიზნესის მიერ დაფინანსებული მთლიანი შიდა დანახარჯი კვლევასა და განვითარებაზე, რაც R&D სფეროში კერძო სექტორის პასიურობაზე შეიძლება, მეტყველებდეს. ქვეყანა რეიტინგულად ჩამორჩება რიგ ფინანსურ ინდიკატორებშიც, რაც ზემოაღნიშნულ სისუსტეებთან ერთად აისახება მაღალტექნოლოგიური წარმოების დაბალ წილზე (იხ:ცხრილი №6).

ინოვაციების გლობალური ინდექსის 2023 წლის

საქართველოს შედეგები აჩვენებს კონკრეტულ სფეროებში ეკონომიკური და ინოვაციური განვითარების თვალსაზრისით არსებულ სტაგნაციას. ინოვაციური შესაძლებლობები უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს ეკონომიკის განვითარებაში, შესაბამისად აუცილებელია ამ სექტორში არსებულ გამოწვევებისადმი კომპლექსური და ყოვლისმომცველი მიდგომა და ხარვეზების აღმოფხვრა, განსაკუთრებით საყურადღებოა განათლების სფერო. ასევე მნიშვნელოვანია ინოვაციური სტარტაპების დაფინანსების სტრუქტურის ჩამოყალიბება როგორც სახელმწიფოს მხრიდან, ასევე ეგრეთ წოდებული სარისკო კაპიტალის (venture capital) დაინტერესების და მოზიდვის მეშვეობით.

3. ინოვაციური კომპანიების წილი მხოლოდ 6%-ს შეადგენს (ბოლო ადგილი OECD-ის ქვეყნებს შორის) იაპონიასა და გერმანიაში 35%-ია, დანიასა და ფინეთში 55 %. ინოვაციური აქტივობის ასეთი დაბალი დონე დაკავშირებულია ტექნოლოგიური ინოვაციების განხორციელებიდან მიღებულ კომპანიების დაბალ შემოსავალთან დანახარჯების სერიოზული ზრდის ფონზე: ინოვაციური პროდუქტების მოცულობის 34%-იანი ზრდა უზრუნველყოფილია ტექნოლოგიური ინოვაციების ხარჯების სამჯერ გაზრდით. შესაბამისად, 2020-2024 წლებში შემცირდა შიდა საინოვაციო ბიზნესიდან კვლევისა და განვითარებაზე დანახარჯების წილი 26,6-დან 22,1%-მდე [7].

ამ გარემოებებით შეიძლება აიხსნას ვენჩურული ინვესტიორების ქცევას, რომლებიც მცირე და საშუალო ბიზნესისთვის არსებულ აგრესიულ ეკო-



ცხრილი №6

ძლიერი მხარეები		სუსტი მხარეები	
ინდიკატორი	რეიტინგი	ინდიკატორი	რეიტინგი
შრომის პროდუქტიულობის ზრდა %	3	გლობალური კორპორატიული R&D ინვესტორები	40
სატარიფო განაკვეთი	4	უნიქორნების დირებულება %	48
მოსწავლეთა და მასწავლებელთა თანაფარდობა	9	PISA-ს რეიტინგი კითხვის, მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო უნარებში	70
დასაქმებულთა აყვანისა და გათავისუფლების სიმარტივე	16	QR საუნივერსიტეტო რეიტინგი	71
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები როგორც მშპ-ს წილი %	16	ვენჩურული კაპიტალის ინვესტორები, შეთანხმებების რაოდენობა/ მშპ PPP (\$)	80
ინფორმაციულ და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა	25	შიდა ინდუსტრიის დივერსიფიკაცია	83
ბიზნესის კუთხის პოლიტიკა	25	მალალტექნოლოგიური ნარმოება %	88
რეგულირების ხარისხი	29	ბიზნესის მიერ დაფინანსებული მთლიანი შიდა დანახარჯი კვლევისა და განვითარებაზე %	89
უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვები %	30	მთლიანი კაპიტალის ფორმირება %	100
		ISO 14001 (გარემოს მართვის სისტემების საერთაშორისო სტანდარტი)/ მშპ PPP (\$)	104

წყარო: [https://idfi.ge/ge/global_innovation_index_\(gii\)_2023_results_of_georgia](https://idfi.ge/ge/global_innovation_index_(gii)_2023_results_of_georgia)

ნომიკურ პირობებში მზად არ არიან უფრო დიდი ინვესტიციები განახორციელონ ქართულ ბიზნეს პროექტებში/სტარტაპებში. საქართველოში არ არსებობს ინოვაციური ბიზნესის მხარდამჭერი ისეთი მნიშვნელოვანი სტრუქტურა, როგორცაა ბიზნესის ანგელოზთა ეროვნული ასოციაცია, რომლის ფუნქცია ინდივიდუალური ვენჩურული ინვესტორი ორგანიზაციებისა და ადრეული სტადიის ვენჩურული ფონდების ინტერესების დაცვა და განვითარებაა, რაც მნიშვნელოვანია საინვესტიციო ბაზრის განვითარებისთვის. ბიზნესის ანგელოზების აღიარებით, საქართველოში არსებობს უნიკალური ბიზნესიდეები, მაგრამ მცირეა სტარტაპერების (ფირმა ინოვატორების) რაოდენობა, ხოლო არსებულებს უნევთ გადარჩენა არასტაბილურ გარე გარემოში, რაც საკუთარი არასტანდარტული პრობლემების გამო ხელს უშლის შემოქმედებითობას, გამოგონებას, კრეატიულობას და იმ სხვა თვისებებს, რომლებიც აუცილებელია ინოვაციებისთვის [5].

4. საინოვაციო საქმიანობის სუბიექტებს შორის

უნდობლობის პრობლემა ასევე მნიშვნელოვანია.

5. კაპიტალის მუდმივი გადინება ასევე უარყოფით როლს თამაშობს ქართული ინოვაციური ბიზნესის განვითარებაში. 2023 წელს ამ მაჩვენებელმა შეადგინა 81,2 მლნ. აშშ დოლარი, 2012 - 56,8 მილიონი, უფრო მეტიც, კაპიტალის გადინებამ შეცვალა მისი შემოდინება წინა წლებში [13, 14]. ეს პროცესი მიუთითებს პოტენციური ინვესტორების უნდობლობაზე სახელმწიფო უწყებების მიმართ, კაპიტალის დაკარგვის შიშსა და მათი განვითარების უკეთეს შესაძლებლობებზე საზღვარგარეთ.

საქართველოში ინოვაციების სფეროში არსებული არასახარბიელო ვითარება აძლიერებს ბიზნეს სექტორის წილის შემცირებას R&D დაფინანსებაში, რაც დიდწილად განპირობებულია დაკრედიტების პრობლემებით. ამავდროულად, დაფინანსებისა და დაკრედიტების უცხოური გამოცდილება არ გულისხმობს ამ სფეროში მხოლოდ სპეციალური კანონების მიღებას. თუმცა მნიშვნელოვანია ამ მიმართულებით არსებული საკანონმდებლო ბაზის (პირველ რიგში ადმინისტრაციული კოდექსის)

ცვლილება, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს სახელმწიფოს, ბიზნესსა და ბანკებს შორის ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბება. [5]. საქართველოში ურთიერთობების დამყარება სახელმწიფოს, ბიზნესსა და ბანკებს შორის გაცილებით რთულია ეროვნული სპეციფიკის, კორუფციის ინსტიტუტისა და ინვესტორებისადმი ნაკლები მიზიდულობის გამო. აქედან გამომდინარეობს არსებული ინოვაციური პროექტების მაღალი ფინანსური რისკები და დაბალი საინვესტიციო მიმზიდველობა [7].

ინოვაციების სფეროში გამოვლენილი პრობლემები, ცხადია, მაკროეკონომიკურ სიბრტყეშია. ფაქტია, რომ წარსულში არსებული ადმინისტრაციულ-მმართველობითი გეგმური ეკონომიკის გაუქმების შემდეგ, საქართველოში საბაზრო ეკონომიკამ ვერ შექმნა ის რეალური საფუძველი, რომელიც აუცილებელია ინოვაციური ბიზნესის განვითარებისთვის, კერძოდ:

- სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი ეკონომიკაში, რომელიც განისაზღვრება საქართველოს განვითარების ისტორიული ტრადიციებით და ეროვნული მენტალიტეტის სპეციფიკით. სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების პრიორიტეტული მიმართულებები. მოახდინოს სამეცნიერო, ტექნიკურ და სოციალურ პროგრამების სუბსიდირება და მათ განხორციელებაზე სათანადო კონტროლის ფუნქციების განხორციელება;

— მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც ამზადებდა მაღალკვალიფიციურ საინჟინრო და ტექნიკურ მუშაკებს და უზრუნველყოფდა ქვეყნის კეთილდღეობას, პრაქტიკულად განადგურდა და შეიცვალა აშკარად ბოლონის პროცესით, რომლის მიზანია სტუდენტებმა „აილონ“ ქულები და არა რეალური ცოდნა.

— და ბოლოს, პრივატიზაციის შემდეგ შექმნილი სტრატეგიული მსხვილი კომპანიები მხოლოდ საკუთარი შემოსავლის მაქსიმალური გაზრდით არიან დაკავებული, რომლებიც დროთა განმავლობაში მონოპოლისტებად გადაიქცნენ. ეს უცხოურ კაპიტალს აძლევს იმის საშუალებას, რომ ტრანსნაციონალიზაციის პროცესის წყალობით, დაადგინოს თუ რა ბაზრებზე ანარმოს პროდუქტები მოძველებული ტექნოლოგიების გამოყენებით, და სად მოახდინოს მათი რეალიზაცია.

ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, ქართული ინოვაციური ბიზნესის განვითარებისთვის რეკომენდებულია შემდეგი ნაბიჯების

გადადგმა:

1. გრძელვადიან პერსპექტივაში სახელმწიფომ უნდა შეიმუშაოს ქვეყნის ინოვაციური განვითარების მკაფიო სტრატეგია, მხარდაჭერილი ინოვაციური საქმიანობის მიმზიდველობის შესაბამისი იდეოლოგიით (ზნეობრივ ღირებულებებზე, მორალსა და პატრიოტიზმზე დაფუძნებული საზოგადოება განწირულია დასაღუპად).

2. ინოვაციური ბიზნესის კეთილდღეობისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის ფარგლებში უნდა შეიქმნას ისეთი ინსტიტუციური გარემო, რომელიც პასუხობს ქვეყნის ინოვაციური განვითარების მოთხოვნებს [8].

3. სახელმწიფომ უფრო აქტიურად უნდა გამოიყენოს ინოვაციების დანერგვის პროგრამულ-მიზნობრივი მეთოდი.

4. დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთისა და აშშ-ს მსგავსად, საქართველოში აუცილებელია შემუშავდეს არა საჯარო-კერძო პარტნიორობის, არამედ სახელმწიფო ადმინისტრირებისა და რეგულირების მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს პრიორიტეტულ სფეროებზე დაფუძნებული ინოვაციური პროექტების განხორციელებას.

4. სახელმწიფომ ასევე უნდა გამოიყენოს საინოვაციო საქმიანობის რეგულირების არაპირდაპირი მეთოდები, კერძოდ საკანონმდებლო ნორმები, საგადასახადო ღონისძიებები, ვენჩურული ინვესტორების (ბიზნეს ანგელოზების) და მცირე და საშუალო ინოვაციური ბიზნესის) მხარდაჭერა, მთავრობის მხარდაჭერით ჩამოყალიბებული ვენჩურული ფონდების საფუძველზე.

5. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს კორპორაციების შექმნას, რომლებიც ავითარებენ უახლეს ტექნოლოგიებს და ინსტიტუციურ ინოვაციურ სტრუქტურებს.

და ბოლოს, ზემოაღნიშნული სტრატეგიული ღონისძიებები შეუძლებელია სახელმწიფოს სოციალური პასუხისმგებლობის გარეშე, რაც უზრუნველყოფილია, უპირველეს ყოვლისა, სტაბილური, თანმიმდევრული, რეალურად მოქმედი საკანონმდებლო ბაზის და ბიზნესის ურთიერთთანამშრომლობით.

საკოლომ დასკვნა

საქართველოში ინოვაციების სფეროში არსებული არასახარბიელო ვითარება აძლიერებს ბიზნესსექტორის წილის შემცირებას კვლევისა და განვითარების დაფინანსებაში, რაც დიდწილად განპირობებულია დაკრედიტების პრობლემებით.



ამავდროულად, უცხოური გამოცდილება მეტყველებს იმაზე, რომ მნიშვნელოვანია განვითარებულ ქვეყნებში არსებული საკანონმდებლო ბაზის შესაძლებლობათა გაზიარება, რის საფუძველზეც ამ ქვეყნებში ჩამოყალიბდა სახელმწიფოს, ბიზნესსა და ბანკებს შორის ურთიერთნდობის საფუძველზე დაფუძნებული სისტემა.

საქართველოში ურთიერთობების დამყარება სახელმწიფოს, ბიზნესსა და ბანკებს შორის გაცილებით რთულია ეროვნული სპეციფიკის, კორუფციის „განვითარებული“ ინსტიტუტის და ინვესტორების ნაკლები დაინტერესების გამო. ფაქტია, რომ არსებული ადმინისტრაციულ-მმართველობითი გეგმური ეკონომიკის გაუქმების შემდეგ, საქართველოში საბაზრო ეკონომიკამ ვერ შექმნა ქვეყნის ინოვაციური განვითარების პირობები. სახელმწიფომ უნდა ჩამოაყალიბოს სახელმწიფოს განვითარებაზე ორიენტირებული ქვეყნის სამეცნიერო და ტექნოლოგიური განვითარების

პრიორიტეტული მიმართულებები. მოახდინოს სამეცნიერო, ტექნიკურ და სოციალურ პროგრამების სუბსიდირება და მათი სათანადო კონტროლი. მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო სამეცნიერო სისტემა, რომელიც უზრუნველყოფდა ქვეყნის ეკონომიკურ კეთილდღეობას პრაქტიკულად განადგურდა, პრივატიზაციის შედეგად შექმნილი მსხვილი კომპანიები მხოლოდ საკუთარი შემოსავლის მაქსიმალური ზრდით არიან დაკავებული, რომლებიც მონოპოლისტებად გადაიქცნენ. ეს საშუალებას აძლევს უცხოურ კაპიტალს, ტრანსნაციონალიზაციის პროცესის წყალობით და იმ ტექნოლოგიების გამოყენებით, რომლებიც უკვე მოძველებულია გამოიყენოს ისინი მესამე სამყაროს ქვეყნებში.

ინოვაციური ბიზნესის სფეროში გამოვლენილი პრობლემების გადაწყვეტა უნდა გახდეს სახელმწიფოს პრიორიტეტული მიმართულება, რომელიც უზრუნველყოფს მის მდგრად და დინამიურ ეკონომიკურ განვითარებას.